

შპს „ჯიტი თაუერი“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია -----	6
ანგარიშგების მომზადების საფუძვლები -----	6
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები -----	7-14
და გადაწყვეტილებები	

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	2021	2020
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	9,187	27,963
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,187	27,963
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	4	1,636,922	2,595,691
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	46,944	259,559
ფული და ფულის ექვივალენტები	6	28,669	10,534
სულ მიმდინარე აქტივები		1,712,536	2,865,784
სულ აქტივები		1,721,723	2,893,747
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		1,131,604	1,562,453
სულ საკუთარი კაპიტალი		1,131,604	1,562,453
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	590,119	1,331,294
სულ მიმდინარე ვალდებულებები		590,119	1,331,294
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,721,723	2,893,747


დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი :


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	2021	2020
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	9,187	27,963
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,187	27,963
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	4	1,636,922	2,595,691
სავაქრო და სხვა მოთხოვნები	5	46,944	259,559
ფული და ფულის ექვივალენტები	6	28,669	10,534
სულ მიმდინარე აქტივები		1,712,536	2,865,784
სულ აქტივები		1,721,723	2,893,747
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		1,131,604	1,562,453
სულ საკუთარი კაპიტალი		1,131,604	1,562,453
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაქრო და სხვა ვალდებულებები	7	590,119	1,331,294
სულ მიმდინარე ვალდებულებები		590,119	1,331,294
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,721,723	2,893,747

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი		2,019,397	11,390,727
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,015,760)	(5,431,024)
საერთო მოგება		1,003,637	5,959,703
საერთო ადმინისტრაციული დანახარჯები	8	(363,817)	(247,266)
არასაოპერაციო ხარჯები/შემოსავლები წმინდა		8,856	12,171
მოგება დაბეგვრამდე		648,676	5,724,608
მოგების გადასახადის ხარჯი		(161,929)	(382,350)
წმინდა მოგება		486,748	5,342,258
მთლიანი სრული შემოსავალი		486,748	5,342,258

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი :

შპს „ჯიტი თაუერი“

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი		2,019,397	11,390,727
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,015,760)	(5,431,024)
საერთო მოგება		1,003,637	5,959,703
საერთო ადმინისტრაციული დანახარჯები	8	(363,817)	(247,266)
არასაოპერაციო ხარჯები/შემოსავლები წმინდა		8,856	12,171
მოგება დაბეგვრამდე		648,676	5,724,608
მოგების გადასახადის ხარჯი		(161,929)	(382,350)
წმინდა მოგება		486,748	5,342,258
მთლიანი სრული შემოსავალი		486,748	5,342,258

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი :

7 კოჭიძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2019	-	(1,613,152)	(1,613,152)
წლის მთლიანი სრული მოგება/ზარალი		5,342,258	5,342,258
გაცემული დივიდენდი		(2,166,655)	(2,166,655)
31 დეკემბერი 2020	-	1,562,452	1,562,452
წლის მთლიანი სრული მოგება/ზარალი		486,748	486,748
გაცემული დივიდენდი		(917,596)	(917,596)
31 დეკემბერი 2021	-	1,131,604	1,131,604

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი :

შპს „ჯიტი თაუერი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2019	-	(1,613,152)	(1,613,152)
წლის მთლიანი სრული მოგება/ზარალი		5,342,258	5,342,258
გაციმული დივიდენდი		(2,166,655)	(2,166,655)
31 დეკემბერი 2020	-	1,562,452	1,562,452
წლის მთლიანი სრული მოგება/ზარალი		486,748	486,748
გაციმული დივიდენდი		(917,596)	(917,596)
31 დეკემბერი 2021	-	1,131,604	1,131,604

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი :

1. კუკუაძე

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯიტი თაუერი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2017 წლის 2 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 405193295. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქ. #16. კომპანია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2017 წლის 18 აპრილიდან. შპს „ჯიტი თაუერი“ წარმოადგენს დეველოპერულ კომპანიას, რომლის საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების მშენებლობა და მართვა. მიმდინარე პერიოდში დასრულებული აქვს მრავალფუნქციური შენობის/კომპლექსის სამშენებლო პროცესი. კომპანიის 80%-იანი წილის მფლობელი არის კახა კოხრეიძე, 20%-იანი წილის მფლობელი არის ბაჩანა აფხაზავა. კომპანიის დირექტორია ბაჩანა აფხაზავა (პირადი ნომერი: 01009006370).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის

ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2021 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3,0976	3,5040
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,2766	4,0233

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და

სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
მანქანა-დანადგარები	2-6
ოფისის აღჭურვილობა	2-7
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4-7

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები. გადახდილ ავანსებზე ჩათვლილი დღე წარდგება, როგორც საგადასახადო ვალდებულება.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში

შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით

შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა

ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა.

3. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	33,955	8,556	4,866	47,377
შემენა				0
გასვლა	(23,257)	(2,069)	(2,049)	(27,375)
2021 წლის 31 დეკემბერი	10,698	6,487	2,817	20,002
დაგროვილი ცვეთა				
2019 წლის 31 დეკემბერი	(43,924)	(30,068)	(1,915)	(75,908)
წლის ცვეთის ხარჯი	(13,484)	(1,560)	(928)	(15,972)
გასვლა	43,865	28,012	589	72,465
2020 წლის 31 დეკემბერი	(13,543)	(3,616)	(2,255)	(19,414)
წლის ცვეთის ხარჯი	(2,998)	(168)	(242)	(3,408)
გასვლა	9,574	1,236	1,197	12,007
2021 წლის 31 დეკემბერი	(6,967)	(2,548)	(1,300)	(10,815)
ნეტო საბალანსო ღირებულება				
2020 წლის 31 დეკემბერი	20,412	4,940	2,611	27,963
2021 წლის 31 დეკემბერი	3,732	3,939	1,517	9,187

4. მარაგები

(ლარი)	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნედლეული და მასალები	1,494	4,906
მზა პროდუქცია	1,634,230	2,587,053
სხვა მარაგები	1,198	3,732
სულ მარაგები	1,636,922	2,595,691

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ლარი)	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
წინასწარ გადახდილი გადასახადები	2,103	93,385
წინასწარ გადახდილი ავანსები	100	1,342
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	51,722	171,813
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(6,981)	(6,981)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	46,944	259,559

6. ფული და ფულის ექვივალენტები

(ლარი)	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	28,669	10,534
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	28,669	10,534

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	27,007	136,120
მიღებული ავანსები	556,696	1,189,978
სხვა ვალდებულებები	6,416	5,196
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	590,119	1,331,294

8. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

(ლარი)	2021	2020
შრომის ანაზღაურება	269,388	216,505
ცვეთა და ამორტიზაცია	382	2,365
იჯარის ხარჯი	-	7,046
საკონსულტაციო მომსახურება	5,000	5,467
საგადასახადო ხარჯი	63,396	
სხვა ხარჯები	25,650	15,883
სულ საერთო ადმინისტრაციული დანახარჯები	363,817	247,266

შპს „ჯიტი თაუერი“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2021 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;
კომპანიის საქმიანობაზე პანდემიას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია
2021 წლის 30 სექტემბრით;

დირექტორი:

შპს „ჯიტი თაუერი“ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2021 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;
კომპანიის საქმიანობაზე პანდემიას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბრით;

დირექტორი:

